

ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის  
N83 ბინაზე, მოქალაქე თამარ გუბელაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე თამარ გუბელაძის წარმომადგენლის მანანა ჯუღელის განცხადება /2011 წლის 20.09 Nჯ-7495/, რითაც ითხოვს ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N83 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N83 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამარ გუბელაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N83 ბინაზე /საერთო ფართობი 46,65 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 26,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,65 კვ.მ./ მოქალაქე თამარ გუბელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე